საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/01

ქ.თბილისი

"08" იანვარი 2018 წ.

„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მატერიალურ ფასეულობებზე პასუხისმგებელ პირთა განსაზღვრისა და ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2017 წლის 17 იანვრის N6/3 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის "მე-8 მუხლის მე-5 პუნქტისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მატერიალურ ფასეულობებზე პასუხისმგებელ პირთა განსაზღვრისა და ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2017 წლის 17 იანვრის N6/3 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4. კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (ნ. დევდარიანი) განახორციელოს ფაქტიური ინვენტარიზაციის შედეგების შედარება საბუღალტრო მონაცემებთან 2018 წლის 30 მარტამდე.",

ბ) ბრძანების მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„5. კომისიის მიერ ინვენტარიზაციის საბოლოო შედეგების გაფორმება მოხდეს 2018 წლის 13 აპრილამდე.",

2. ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6) ერთი თვის ვადაში.

4. კონტროლი წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას (ი. ხარებავა).

საფუძველი: კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ნ. დევდარიანის მოხსენებითი ბარათი (შ10/18-18, 03.01.2018 წ.)

კომისიის თავმჯდომარე

კახი ბექაური